სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის

ექთნის დებულება

ზესტაფონი

2021

სარჩევი

• ზოგადი დებულებები;

• ექთნის უფლებები და მოვალეობები;

• ექთნის საქმიანობის აღწერილობა;

• სასწრაფო სამედიცინო დახმარება;

• ავადმყოფობის შემდეგ მოსწავლის სკოლაში დაბრუნება.

1. ზოგადი დებულებები

1.1. სკოლის ექთანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.

1.2. ექთანი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ ინსტრუქციით, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. ექთნის უფლებები და მოვალეობები

თავისი უფლებების ფარგლებში ექთანი:

2.1. ახორციელებს ამ ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას, უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას.

2.2. ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვას.

2.3. აკონტროლებს და სანიტარული ნორმების დაცულობის შემოწმების მიზნით ყოველდღიურად ატარებს მონიტორინგს კლასებში, დერეფნებში, სასადილოში, ტუალეტებში.

2.4. საჭიროების შემთხვევაში იძლევა დაფიქსირებული პრობლემის გამოსწორებისათვის საჭირო რეკომენდაციას.

2.5. თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის.

2.6. დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლის სამედიცინო მომსახურების პროცესის სრულყოფის შესახებ.

2.7. აკონტროლებს სადეზინფექციო–სადერატიზაციო ღონისძიებების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორგანიზაციის მიერ.

ექთანი ვალდებულია

2.8. სასწავლო პროცესისათვის სანიტარული კუთხით ჰქონდეს მზადყოფნაში სამედიცინო კაბინეტი, სანიტარული წერტილები და კვების ობიექტი.

2.9. პირველადი დახმარება გაუწიოს ამბულატორულ ავადმყოფებს.

2.10. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს მშობლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სსსმდა ის მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგს (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა),

2.11. შეიმუშაოს და რეალიზება გაუკეთოს სამედიცინო-ჰიგიენურ პროგრამებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

3. ექთნის საქმიანობის აღწერილობა

3.1. სკოლაში მუშაობს 1 ექთანი. კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.ექთანი მუშაობს ყოველ სასწავლო დღეს.

3.2. ექთნის ძირითადი მოვალეობაა პირველადი სამედიცინო დახმარება.

3.3. ექთანს სკოლის მიერ მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარების წამლები და შესახვევი მასალა.

4. სასწრაფო სამედიცინო დახმარება

4.1. საჭიროების შემთხვევაში სკოლა, პირველ რიგში, საქმის კურსში აყენებს მშობლებსდა იძახებს სასწრაფო დახმარებას. თუ მკურნალობა აუცილებელია, მოსწავლეზე მზრუნველობას მისი მშობელი იჩენს.

4.2. სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში სკოლის ექთანი საქმის კურსში აყენებს ადმინისტრაციას და/ან მშობლებს. მშობლები ვალდებულნი არიან გადაიყვანონ მოსწავლე სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში. თუ ავადმყოფობა სერიოზულია და მშობლის მოცდის საშუალება არ არის, სკოლა გამოიძახებს სასწრაფო დახმარების მანქანას და ბავშვი გადაყვანილ იქნება საავადმყოფოში.

4.3. თუ არსებობს საშიშროება, რომ ავადმყოფმა ბავშვმა გადასდოს დაავადება სხვა მოსწავლეებს ან სკოლის თანამშრომლებს, მაშინ მოსწავლის მშობელი ვალდებულია წაიყვანოს იგი სკოლიდან.

4.4. ***მოსწავლეს უფლება აქვს გათავისუფლდეს სკოლიდან, როცა:***

4.4.1. მას აქვს მაღალი ტემპერატურა;

4.4.2. ერევა გული, აღებინებს, აქვს ძლიერი მუცლის ტკივილი;

4.4.3. აქვს დიარეა;

4.4.4. აქვს გამონაყარი კანზე;

4.4.5. შესიებული აქვს ჯირკვლები კისერზე;

4.4.6. სტკივა ყური;

4.5. მოსწავლე აუცილებლად თავისუფლდება სკოლიდან:

4.5.1. თუ აქვს მწვავე ვირუსული რესპირატორული დააავადება;

4.5.2. თუ აქვს მწვავე კონიუქტივიტი;

4.5.3. თუ არის ეჭვი კანის პარაზიტებზე;

4.5.4. თუ არის პედიკულოზი;

4.5.5. თუ აქვს მწვავე ინფექციური დაავადება;

4.5.6. თუ აქვს მწვავე ენტეროვირუსული ინფექცია.

4.6. მოსწავლეებს არ აქვთ უფლება დატოვონ სკოლა ავადმყოფობის მიზეზით ექთნის ნებართვის და სკოლის ადმინისტრაციის საქმის კურსში ჩაყენების გარეშე.

5. ავადმყოფობის შემდეგ სკოლაში დაბრუნება

5.1. მშობელმა უნდა გააგებინოს სკოლას თავისი შვილის ყველა ინფექციური დაავადების შესახებ მანამ, სანამ მოსწავლე დაბრუნდება სკოლაში (ჩუთყვავილა, წითელა, ყბაყურა და სხვა). მოსწავლეებმა, რომლებმაც გადაიტანეს ეს დაავადებები უნდა წარმოადგინონ ექიმის

ცნობა გამოჯანმრთელების შესახებ. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ პედიკულოზი არ დაიშვებიან სკოლაში სრულ განკურნებამდე, რასაც ექიმის ცნობა დაადასტურებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა :

პანდემიის გამო სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციების დაცვის მიზნით საქართველოს განათლების მინისტრის განცხადებით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის მოსწავლეებისთვის სავალდებულოა პირბადის ტარება საგაკვეთილო პროცესის დროს. პირბადის ტარებასთან ერთად აუცილებელია დაცული იყოს ფიზიკური დისტანცია და ჰიგიენური ნორმები.

სკოლის შენობაში სისტემატიურად ჩატარდება სადეზინფექციო სამუშაოები , რომელიც აუცილებელია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისთვის!

მოხდება სკოლის თანამშრომელთა ვაქცინაცია, ყველა თანამშრომელი გაივლის კოვიდტესტირებას კვირაში ერთხელ, ეს პროცესი სისტემატიურად განხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით მთელი სასწავლო წლის მანძილზე განხორციელდება მონიტორინგი ჯანდაცვის მიერ შემუშავებული სავადებულო რეგულაციების დაცვის მიზნით:

მ შ ო ბ ლ ე ბ ი ს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი ა :

მოსწავლეს დილით სახლიდან გამოსვლამდე გაუზომოს ტემპერატურა. თუ დაუფიქსირდება 37 და მეტი არ გამოუშვებთ სკოლაში, დაუყოვნებლივ რეკავთ დამრიგებელთან და ატყობინებთ გამოუცხადებლობის მიზეზს. თუ ბავშვს ექნება ვირუსისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშანი- სისუსტე, ხველა, სუნთქვის გაძნელება, გამონადენი ცხვირიდან, ყელის სიმშრალე და ა.შ არ აგზავნით სკოლაში და მიმართავთ ოჯახის ექიმს, ამასთანავე ატყობინებთ დამრიგებელს.

სკოლაში შვილს გამოატანეთ სასმელი წყლის ბოთლი, რომელზეც მითითებული იქნება მოსწავლის სახელი და გვარი.

მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი ს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი ა :

*აუცილებელია თერმოსკრინინგი ჩავიტაროთ სახლიდან გამოსვლის წინ და სკოლის შესასვლელში!

*დავიცვათ პირადი ჰიგიენა და სისუფთავე ჩვენს ირგვლივ!

*დავიცვათ 1 მეტრიანი დისტანცია კლასში, დერეფანში!

*ვატაროთ პირადი წყლის ბოთლი სახელი და გვარის მითითებით!

*არ ვისარგებლოთ ერთმანეთის ნივთებით!

*გრიპული სიმპტომების შემთხვევაში დავრჩეთ სახლში, შევატყობინოთ ექიმს და კლასის დამრიგებელს!

*ხელები დავიბანოთ ხშირად !

*ხელები შევიმშრალოთ ქაღალდის ხელსახოცით!

*ხელები ხშირად დავიმუშაოთ სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც განთავსებულია სკოლის დერეფნებში და სველ წერტილებში!

*ავკრძალოთ შეჯგუფება, თავშეყრა!

*ფეხები გავიწმინდოთ დეზობარიერზე!

*მოსწავლე სკოლაში უნდა გამოცხადდეს თმაშეკრული,გაშლილი თმები არ შეიძლება!

*ყოველ დასვენებაზე დამრიგებელთან ერთად სადეზინფექციო ხსნარით გადავასუფთაოთ მერხის ზედაპირი!
*ყოველ დასვენებაზე გავანიავოთ ფანჯრის გაღებით ოთახი!

სკოლაში დამრიგებლები თავიანთ კლასებში სისტემატიურად ჩაატარებენ საუბრებს
და მოსწავლეებს შეახსენებენ პანდემიის პრევენციისთვის შემუშავებულ ქცევის წესებს, რომლის დაცვა აუცილებელია ყველასათვის, რათა სწავლა-სწავლება წარიმართოს რეალურ სივრცეში ჯანმრთელობის შენარჩუნებით.
სკოლის შენობაში მოსახვედრად მოსწავლეები ისარგებლებენ ორი შემოსასვლელით, სადაც მოხდება თერმოსკრინინგი და გაივლიან დეზობარიერს მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ნაკადის თავიდან აცილების მიზნით;
მშობლები არ დაიშვებიან სკოლის ეზოში . სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლე ტოვებს სკოლის ტერიტორიას და მას სკოლის ჭიშკართან ელოდება მშობელი.
მშობელთა კრებები გაიმართება დისტანციურ რეჟიმში. საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლები მოახდენენ მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს რეგულაციების სრული დაცვით. ამ დროს მშობელი მოვალეა სკოლაში გამოცხადდეს პირბადით და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების წესების დაცვით.